ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

№ 9 (6570)

1980 წ. 13 იანვარი, კვირა

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

СПОРТ Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲢᲝᲛᲐᲨᲘ

ᲯᲔᲠ მცირეოდენი შესავალი, როგორც წესი და რიგია — შესავალი, რომელიც ჩვენი სათაურის ბრჭყალებს გახსნის.

..ათი წლის წინანდელ ამბავზე მოგახსენებთ. იგი საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გურამ სანაკოევმა გაგვანდო: 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ჩვენი ქვეყნის უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურენი“ ჩვეულებისამებრ ბაკურიანში ემზადებოდნენ. მათ ერთ-ერთ შეჯიბრებას დესწრო მფრინავი-კოსმონავტი გიორგი შონინი, რომელიც იმ დღეებში საქართველოში იმყოფებოდა სტუმრად. კოსმონავტი კოხტავაგორის დიდ ტრამპლინზე ასულა კიბით და ზუსტად სახტომი ბაქნის ძირში გაჩერებულა. მოთხილამურენი თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებოდნენ ასასხლეტი ბილიკით და შხუილით მიაპობდნენ ჰაერს. მათმა ვაჟკაცურმა, უშიშარმა ნახტომებმა აღტაცებაში მოიყვანა გ. შონინი, რომელმაც იმავე საღამოს გამართულ შეხვედრაზე სიტყვა-სიტყვით ასე გადაცხადა: „ნამდვილი კოსმონავტები თქვენ ყოფილხართ, ტრამპლინიდან მხტომელები!“.

წარმოიდგინეთ, ასეთივე გრძნობა გვეუფლებოდა ჩვენც ყოველი ნახტომის დროს, როდესაც ტრამპლინზე სწორედ კოსმონავტის „ადგილი“ დავიკავეთ.

საქართველოს თასის გათამაშების სტარტზე (40-მეტრიანი ტრამპლინიდან) 30-მდე მხტომელი გამოვიდა, რაც სპეციალისტების დასტურით, რესპუბლიკური მასშტაბების შეჯიბრებისთვის სარეკორდო იყო. მართალია, ბაკურიანის ცაში უკვე კარგა ხანია აღარ ჩანან ისეთი სახის „ფრინველები“ როგორებიც იყვნენ კობა წაქაძე და მიხეილ გავა. მაგრამ ახალი ტალანტების დაბადებას პირველ რიგში ხომ სწორედ მასობრიობამ უნდა შეუწყოს ხელი.

— გასულ სეზონში ბაკურიანში ყოველ კვირას ვატარებდით მხტომელთა ასპარეზობას, — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ნ. მიქაბერიძემ, — ვფიქრობ, რომ წლეულსაც უნდა მივცეთ მხტომელებს საშუალება ასევე ხშირ-ხშირად გამოვიდნენ სტარტზე.

და კიდევ ერთი, რაზეც უნდა შევაჩეროთ მკითხველთა ყურადღება და რაც ამ მხრივ ნათელი მომავლის გარკვეულ იმედს გვისახავს. მხედველობაში გვაქვს მონაწილეთა, ასე ვთქვათ, ფართო დიაპაზონი მხტომელთა ასაკის მხრივ — გამოცდილი, 24 წლის მევლუდ ბაკაევიდან 10-10 წლის კახა წაქაძესა და ვ. მინასიანამდე. სხვათა შორის წაქაძე-უმცროსმა გულდაწყვეტილმა გვითხრა:

— ავად ვიყავი და ნავარჯიშები არა ვარ, თორემ...

ჩანს, პატარას მამისეული შემართება მოსდგამს.

სპორტსმენები სამ ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობდნენ. მოზრდილებში საუკეთესო შედეგი ჰქონდა მ. ბაკაევს („კოლმეურნე“), — 226,2 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ დინამოელები ზ. ჯანგობეგოვი (218,1) და ვ. ხუბაევი (212,1).

მათი თანაგუნდელები გ. დიაკონაშვილი (221,6), ს. ხუბაევი (220,0) და მ. ბაკაევი (204,9) ამ თანმიმდევრობით ავიდნენ იუნიორთა ასპარეზობის საპატიო კვარცხლბეკზე.

ჭაბუკთა შორის პირველი სამეული ასე განაწილდა: ვ. მინასიანი (132,5), ვ. ნაგოგა (128,6), დ. ბუძიშვილი (125,4). სამივე ჭაბუკი ბაკურიანის საშუალო სკოლის მოსწავლეა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამოს“ I ნაკრებმა (მწვრთნელები მ. გავა და ზ. თვაური) — 1386,2 ქულა, მეორე ადგილზეა „კოლმეურნე“ (642,3), მესამეზე — „დინამო“-II (623,2).

თუ პირველ დღეს მოასპარეზეთ ჩინებული ამინდი დაუდგათ, მეორე დღის შეჯიბრება 70-მეტრიან ტრამპლინზე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა (თოვდა, ქარი ქროდა, სრიალი ჭირდა). ცხადია, შედეგებიც არ იყო მაღალი. მაგრამ გამოცდილმა მ. ბაკაევმა პირველსავე ცდაზე ხელთ იგდო ლიდერობა. მეორე შედეგი ჰქონდა ზ. ჯანგობეგოვს.

მსაჯთა კოლეგიამ მეორე, გადამწყვეტ ცდაზე არ დაუშვა რამდენიმე მოთხილამურე, ამჯერად ჯანგობეგოვი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და გაიმარჯვა — 149,5 ქულა. რესპუბლიკის თასი მას გადაეცა, მ. ბაკაევი, რომელმაც სტილისთვის შედარებით დაბალი შეფასება მიიღო, II ადგილზე გავიდა — 149,3. III ადგილზეა ს. ხუბაევი (136,1). ამ დღეს კარგად იასპარეზა 16 წლის ე. ბაკაევმაც (V ადგილი). ახალგაზრდა მხტომელებს შორის მან საუკეთესო შედეგისათვის საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პრიზი მოიპოვა.

ერთი დეტალი: 70-მეტრიან ტრამპლინზე გამარჯვებულმა ზ. ჯანგობეგოვმა საპატიო თასი „სპორტრემმშენის“ მეოთხე სამმართველოს უფროსისგან ლერი ვარამაშვილისაგან მიიღო — სწორედ იმ მშენებელთა მეთაურისგან, რომლებმაც დიდი ენერგია და მონდომება მოახმარეს ბაკურიანში სპორტულ ნაგებობათა მშენებლობასა და მათ წესრიგში მოყვანას, კერძოდ ამ ტრამპლინის მომზადებას.

ბოლოს, კვლავ მასალის სათაურს ვუბრუნდებით. დიახ, ქართული სპორტის მოყვარულებს მტკიცედ სწამთ, რომ ჯავა სულ რამდენიმე წელი და ბაკურიანის ტრამპლინებზე ისევ გამოჩნდებიან ახალი წაქაძეები და გავეები, ახალი ჩემპიონები და რეკორდსმენები, რომლებიც ნამდვილად „კოსმოსური“ ხტომებით დიდებას დაუბრუნებენ საქართველოს „მფრინავ მოთხილამურეთა“ აგრერიგად აღიარებულ სკოლას.

Ო. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — **70-მეტრიან ტრამპლინზე ხტომის მომენტი; მარჯვნივ — საქართველოს თასის მფლობელი ზ. ჯანგობეგოვი.**

ვ. მაჩაბლის ფოტოები.

„ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ“ ᲮᲢᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ...



● ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲡᲐᲛᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲓᲣᲨᲐᲜᲑᲔᲨᲘ მიმდინარე გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში გუშინწინ შედგა VI ტური.

გოგონათა ერთპიროვნული ლიდერი სიტნიკოვა (ლენინგრადი) ამ დღეს თანაჭალაქელ ვილნერთან დამარცხდა. სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა მესხმა (ქუთაისი) და ბერეზინამ (უკრაინა) გაიმარჯვეს და ახლა სამივეს 5-5 ქულა აქვს. ქასოშვილმა (გორი), შუხმანმა და ერუსლანოვამ (ორივე — რსფსრ) 4-4 ქულა მოაგროვეს, აბზიანიძემ (ქუთაისი) და მუსერიძემ (თბილისი) — 2,5-2,5.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში ერთპიროვნულად ლიდერობს კრასენკო (რსფსრ) — 5 ქულა. ჩაჩიბაიას— 3,5 ქულა აქვს, კუზმინს (ორივე — თბილისი) — 2,5, თორიას (ზუგდიდი) — 2.

გუშინ მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს შედგება VII ტური. დიდ ინტერესს იწვევს სიტნიკოვა-ბერეზინასა და მესხი-შუხმანის შეხვედრები.

ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲝᲑᲐ — ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული პირველობა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ მათი შარშანდელი ფორუმი ჭადრაკის სასახლეში სსრ კავშირის ქალთა 39-ე ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარეობდა და მაყურებელიც არ ჰყავდა. ბრძოლა კი, როგორც ყოველთვის, დაძაბული იყო. ტურნირში დაწინაურდა ახალგაზრდობის წარმომადგენელი გ. მაჭარაშვილი, რომელმაც სტარტზე ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო. მას მხოლოდ X ტურში დაეწია გ. ტყებუჩავა (თითოეულს—8 ქულა). XI ტურში ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს და მაჭარაშვილმა გაიმარჯვა. ტყებუჩავას გ. ცქიტიშვილი წამოეწია.

ფინიშზე ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა ამ სამეულს შორის გაჩაღდა. მაჭარაშვილმა სძლია ვ. ურიდიას, დაუზავდა გ. ბალათუროვს, ა. ჩიკვაიძეს, დასკვნითს, XV ტურში მოუგო მ. ჭიპაშვილს და 12 ქულით I ადგილი გაიანადა. გ. მაჭარაშვილმა მეორედ მოიპოვა ქალაქის ჩემპიონის სახელი.

ტყებუჩავამ კიდევ ერთხელ წაიფორხილა (წაგო გ. ხომერიკთან), მაგრამ სამი შეხვედრა მოიგო (ვ. ვეფხვიშვილთან, თ. ლომაიასთან, ბ. ხეცურიანთან) და II-III ადგილები გაიყო ცქიტიშვილთან, რომელმაც დასკვნითს ოთხ ტურში სძლია ჭიპაშვილს, ა. წერეთელს, ქულა მიიღო ნ. ჩახოიანისგან და დაუზავდა ე. მიქაელიანს.

აი, პირველობის საბოლოო შედეგები: I. გ. მაჭარაშვილი — 12, II-III. გ ტყებუჩავა, გ. ცქიტიშვილი — 11-11, IV-V. გ. ხომერიკი, ვ. ვეფხვიშვილი — 9-9, VI. გ. ბალათუროვი — 7,5, VII-IX. ე. მიქაელიანი, ბ. ხეცურიანი, ვ. ურიდია — 7-7, X. თ. ლომაია — 6,5, XI. მ. ჭიპაშვილი —6, XII-XV. გ. მაღალაშვილი, ვ. დუგლაძე, ა. წერეთელი, ნ. ჩახოიანი — 5,5-5,5, XVI. ა. ჩიკვაიძე — 5.

დედაქალაქის პირველობა იყო აგრეთვე საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება. თბილისის ჩემპიონმა გ. მაჭარაშვილმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში (თბილისი, 1-22 ივნისი) თამაშის უფლება. გ. ტყებუჩავა და გ. ცქიტიშვილი მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატის I ლიგაში (თელავი, 3-23 აპრილი).

Თ. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

● ᲪᲣᲠᲕᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. შარშან უნგრელმა სპორტსმენებმა დაამყარეს ქვეყნის 184 ახალი რეკორდი. ყველაზე უფრო მეტი წარმატება ხვდათ მოცურავეებს — 47 მიღწევა. ძალოსნების ანგარიშზეა 39, მძლეოსნებისა — 23 რეკორდი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲚᲐᲘᲪᲘᲒᲘ. გდრ-ის ამ ქალაქის სპორტის მუზეუმი ცნობილ სპორტსმენებთან ახალგაზრდობის შეხვედრების ტრადიციული ადგილია. აქ სპორტის ოსტატებთან, მწვრთნელებთან და არბიტრებთან ერთად იკრიბებიან ნორჩი ფიზკულტურელები, რომლებსაც აინტერესებთ რესპუბლიკის სპორტის წარმატებები. მუზეუმში გახსნილი ექსპოზიცია მნახველებს აცნობს მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიადისთვის მზადებას.

2 წლის არსებობის მანძილზე მუზეუმი დაათვალიერა 100 ათასამდე კაცმა. აქ მოწყობილ სტენდებზე გამოფენილია გდრ-ის სპორტსმენების მიერ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში, ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მოხვეჭილი ჯილდოები.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲕᲐᲟᲗᲐ 10 და ქალთა 8 გუნდი გამოვა მოსკოვის ოლიმპიადის ფრენბურთელთა ტურნირში. უკვე ცნობილია, რომ ვაჟთა „ა“ ჯგუფში იასპარეზებენ სსრ კავშირი, კუბა, იტალია, აზიის ჩემპიონი და 2 შესარჩევი ტურნირის 1 გამარჯვებული. მომდევნო ჯგუფში გამოვლენ პოლონეთის, იუგოსლავიის, ბრაზილიის, ტუნისისა და 2 შესარჩევ შეჯიბრებაში 1 გამარჯვებული.

ქალთა გუნდებში უფრო ნათელი სიტუაციაა: „ა“ ჯგუფი — კუბა, სსრ კავშირი, პერუ, გდრ, „ვ“ ჯგუფში მხოლოდ ერთი ვაკანტური ადგილია. შესარჩევ ოლიმპიურ ტურნირში გამარჯვებული შეხვდება იაპონიის, აშშ-სა და ჩინეთის წარმომადგენლებს.

ვაჟთა და ქალთა გუნდებისთვის შესარჩევი შეჯიბრებები დაიწყება 20 იანვარს ბულგარეთში. ვაჟები ჯერ ერთმანეთს შეხვდებიან 2 ჯგუფურ ტურნირში. პირველში გამოვლენ ბულგარეთის, გდრ-ის, კანადის, მექსიკისა და აშშ-ს გუნდები, მეორეში — ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები. ფინალურ ტურნირში 4 უძლიერესი გუნდი (2-2 თითოეული ჯგუფიდან) იბრძოლებს 2 ოლიმპიური საგზურისთვის. ვაჟთა შეჯიბრებას უმასპინძლებს სოფიის სპორტული დარბაზი „უნივერსიადა“.

ქალთა გუნდების ტურნირი, რომელშიც 6 კოლექტივი გამოვა, მოეწყობა ქალაქ პაზარჯიკში (წრიული სისტემით). I ტურში ითამაშებენ ბულგარეთი-რუმინეთი, უნგრეთი-ბრაზილია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა-მექსიკა. ოლიმპიადის საგზურებს მიიღებენ მხოლოდ ამ შეხვედრებში გამარჯვებულები.

სპორტული ბრძოლით მოხვეჭილი დიდება

ჩვენს რესპუბლიკაში ძიუდოს განვითარება, ქართველი სპორტსმენების მიღწევები დაკავშირებულია ა. კიკნაძის, ა. ქიბროწაშვილის, ფ. ჩიკვილაძის, დ. ბერუაშვილის, რ. მაღალთაძის, ა. მარტყოფლიშვილის, დ. ნათელაშვილის, შ. ჩოჩიშვილის, გ. ონაშვილის, შ. ფიცხელაურისა და ტატამის სხვა აღიარებულ ოსტატთა სახელებთან, რომელთაც ძალზე საინტერესო სპორტული ბიოგრაფია აქვთ. მოგითხრობთ ერთ-ერთ მათგანზე, ძიუდოს სპეციალიზებული უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის მწვრთნელზე ანზორ მარტყოფლიშვილზე, რომელიც სპორტულმა კიბემ ევროპის ჩემპიონობამდე აიყვანა. ამ ეკლიან და ძნელ გზაზე მას ბევრჯერ განუცდია გამარჯვების სიხარული და წარუმატებლობის მძიმე წუთები.

ანზორ მარტყოფლიშვილი, რომელსაც სპეციალისტები უნივერსალურ მოჭიდავედ მიიჩნევენ, ძიუდოში (რაც იაპონურად გამარჯვებისკენ „მოქნილ გზას“ ნიშნავს) მოვიდა ქართული ჭიდაობიდან, რომლითაც იგი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული.

— ჩვენთან, ზემო მაჩხაანში არ იყო „კლუბი“... — ღიმილით იგონებს ანზორი, — ჭიდაობის ანბანს ფაქტიურად უფროსებისაგან ვსწავლობდით. აღტაცებით ვადევნებდით თვალყურს მოჭიდავეთა შეჯიბრებებს, ვცდილობდით დაგვემახსოვრებინა ყველა ილეთი, ხოლო საღამოობით შევიკრიბებოდით ბავშვები და მიდი...

შესაძლოა სოფელი ბიჭუნა-თვის მაშინ სპორტი არა მარტო გატაცება იყო, არამედ დიდი სპორტული მიღწევებისკენ სწრაფვის წყარო. მაგრამ მაშინ ვინ იფიქრებდა ამაზე?

გატაცებით ჰყვება ანზორი თავის ბავშვობასა და შშობლიურ სოფელზე, სადაც იგი ყოველ დასვენების დღეს მიდის შშობლებთან. ფუსფუსებს ბოსტანსა თუ ვენახში. უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, უკვე მოსავალია ასაღები. საქმეს რა გამოლევს სოფელში. და კიდევ, ანზორი თავის ოთხ შვილს უნერგავს შშობლიური მიწისა და შრომის სიყვარულს. თვითონ ხომ მშრომელი ადამიანების ოჯახში გაიზარდა. ანზორი 10 წლის ასაკიდან ეხმარებოდა მამას კოლმეურნეობაში. გაუგონარი მამაცობა, გამძლეობა და უზარმაზარი შრომისმოყვარეობა ახასიათებდათ ომისშემდგომი წლების გოგონებსა და ბიჭებს, რომლებიც მხარში ედგნენ უფროსებს სიძნელეთა გადალახვაში და ღირსეულად ცვლიდნენ მინდვრებზე დიდი სამამულო ომის ჭარ-ცეცხლიდან შინმოუსვლელებს.

...გადიოდა წლები. სკოლის დამთავრების შემდეგ ანზორმა მუშაობა დაიწყო მეცხოველეობის ფერმის კომკავშირულ ბრიგადაში. მაგრამ ჭაბუკს სწავლის გაგრძელება სურდა, ვინაიდან შრომისმოყვარე გლეხის გამრჯე მარჯვენის გარდა მიწას ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენების ღრმა ცოდნა სჭირდებოდა. **ერთი** წლის შემდეგ ანზორი თბილისში ჩამოვიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, რათა შემდეგ აგრონომად დაბრუნებოდა შშობლიურ სოფელს. მაგრამ სპორტისკენ სწრაფვა და ჩემპიონად გახდომის ბავშვობის ოცნება უფრო ძლიერი გამოდგა. ანზორი ჩაირიცხა ფიზიკულტურის ინსტიტუტში და ერთდროულად ჭიდაობის ყველა სახეობაში დაიწყო ვარჯიში. დამწყებმა სპორტსმენმა სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. მოკლე ხანში იგი ქალაქის ჩემპიონი გახდა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში (1959 წ.), შემდეგ რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა სამბოში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობებში. 1961 წელს ანზორმა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში III სპრიზო ადგილი დაიკავა (საკავშირო პირველობაში ანზორმა 9-ჯერ მიიღო მონაწილეობა, 6-ჯერ იყო ბრინჯაოს პრიზიორი, ორჯერ — ვერცხლისა, ხოლო ერთხელ გახდა ჩემპიონი).

1965 წლიდან, როცა ძიუდოში წონითი კატეგორიები დამტკიცდა, ა. მარტყოფლიშვილი შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. იგი მონაწილეობს ევროპის დემოკრატიული ქვეყნების პირველობაში, სადაც ორჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. წარმატებით გამოვიდა იაპონიის სხვადასხვა ქალაქში (იაპონელ ძიუდოისტებთან 7 შეხვედრაში მან მოიგო 2, 4 ფრედ დაამთავრა და ერთი წააგო). ბრწყინვალედ ისასპარეზა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ფინეთში, სადაც მას 9 შეხვედრაში არც ერთი არ წაუგია. და აი, დადგა დღე— 1968 წლის 19 მაისი, როდესაც აღსრულდა ანზორის სანუკვარი ოცნება. — 32 წლის ასაკში იგი ევროპის ჩემპიონი გახდა მსუბუქი წონის ძიუდოისტთა შორის. გამარჯვების სიხარული! მქუხარე ოვაციები, ახლობლებისა და მეგობრების სიხარული, მრავალრიცხოვანი მოსალოცი დეპეშები, საერთაშორისო აღიარება... მაგრამ ნუთუ ეს ბედნიერი დღე ანზორ მარტყოფლიშვილის სპორტული ბიოგრაფიის მკვეთრი შემოტრიალების დღე უნდა გახდეს?

სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ანდრეევმა იგი გუნდიდან გამოიყვანა, როგორც „ხანდაზმული“, რომელმაც ადგილი უნდა დაუთმოს ახალგაზრდებს... ხანდახან ტრავმისაგან მიყენებული უმძიმესი ტკივილებს გაძლება გიადვილდება იმ იმედით, რომ გჯერა, ტკივილი დაგიყუჩდება და კვლავ შეძლებ ბრძოლას. მაგრამ სულ სხვაა, როცა ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში მყოფს ცხვირწინ მოგიხურავენ კარს. სუსტი ნებისყოფის ადამიანი ალბათ წავიდოდა დიდი სპორტიდან, მაგრამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ანზორ მარტყოფლიშვილს, რომელსაც იმ დროისთვის 7 ოქროს, 1 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი ჰქონდა, უნდა ებრძოლა ხვალინდელი დღისთვის, რათა დაემტკიცებინა თავისი უდიდესი სიყვარული სპორტისადმი. 1968 წელს იგი შევიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და თან ახალგაზრდობის აღზრდას მიჰყო ხელი. ინსტიტუტში სამბოს სექცია ჩამოაყალიბა. მისი გუნდი 3-ჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი. მალე ვ. ანდრეევი გაათავისუფლეს სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელობიდან და დანიშნეს ს. იონოვი, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის სამბისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელია. იონოვმა ნაკრების შემადგენლობაში კვლავ შეიყვანა ა. მარტყოფლიშვილი და იგი გააგზავნა ევროპის პირველობაზე, სადაც საბჭოთა ნაკრები მხოლოდ III ადგილზე გავიდა. რაც შეეხება ანზორს, მას შეხვედრა არ წაუგია. შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო ინგლისის, საფრანგეთის, მონგოლეთის და სხვა ქვეყნების მრავალრიცხოვან ტურნირებში.

1974 წელს გფრ-ის საერთაშორისო ტურნირში ანზორმა მაღალი ოსტატობა და დახვეწილი ტექნიკა აჩვენა და ჩემპიონობა მოიპოვა. ეს იყო მისი ბოლო ასპარეზობა. 1975 წელს ანზორ მარტყოფლიშვილი დიდი სპორტიდან გააცილეს, მაგრამ რას ნიშნავს „გაცილეს“, როდესაც ადამიანი რჩება სპორტის ერთგული, ეწევა აქტიურ პროპაგანდას და ხელს უწყობს მის განვითარებას, თუნდაც მწვრთნელის პოსტზე. მწვრთნელობა ადვილი საქმე როდია. ამისთვის არ კმარა იყო ბუნებისაგან ნიჭით მომადლებული და განსაკუთრებული მოწოდება გაგაჩნდეს, ამისთვის საჭიროა ჭეშმარიტად გიყვარდეს ისინი, ვისაც უნდა დაეხმარო, მიაღწიოს შენზე მეტ წარმატებას. სამი წიგნის („ქართველი მოჭიდავეები კომანოში“, „ძიუდოს წესები“ და მწვრთნელთათვის, სპორტსმენთა და ფიზკულტურის ინსტიტუტების სტუდენტთათვის განკუთვნილი „სასწავლო ცახელმძღვანელო“, რომელიც მალე გამოვა) ავტორი, სპორტული მიღწევებისთვის მოპოვებული მრავალრიცხოვანი ჯილდოების მქონე (მათ შორის 40 მედალი), ლენინური კომკავშირის აღზრდილი, კომუნისტი ანზორ მარტყოფლიშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელია (მისმა გუნდმა ორჯერ — 1973 და 1977 წლებში გაიმარჯვა ახალგაზრდულ თამაშებში). იგი აგრეთვე სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელია, არის სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი 1977 წლიდან და ძიუდოს უმაღლესი სპორტული დოსტატების სპეციალიზებული სკოლის ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელი.

— აი, სად აღვზრდით ჩემპიონებს, — სიამაყით ამბობს ანზორი, რომელმაც სამწვრთნელო მოღვაწეობის 10 წლის მანძილზე ბევრი ცნობილი სპორტსმენი აღზარდა. იგი დიდ იმედებს ამყარებს სსრ კავშირის ჩემპიონებსა და პრიზიორებზე ჰ. ლოლაშვილზე, დ. ბედოევზე, გ. ჩარქსელიანზე, ევროპის ჩემპიონებზე ა. ობგაიძეზე, ლ. ცისკარიშვილზე და თ. ნამგალაურზე, რომელმაც პარიზში ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში III სპრიზო აღგილი დაიკავა. სასიამოვნოა ისიც, რომ ანზორის ვაჟი, რომელმაც მამისგან მიიღო ესტაფეტა, დიდ იმედებს იძლევა.

მოუსვენარი, პირდაპირი, საქმისადმი ერთგული, საოცრად მიზანსწრაფული სპორტსმენი, თავდადებული, შრომის მოყვარული —აი, როგორია ანზორ მარტყოფლიშვილი, არა ამაყი, არამედ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, მუდამ თავს რომ არიდებს თავისი სპორტული ტიტულების დასახელებას.

ა. ზენკო.



მოზარდი და სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარჯიშს გონებამ უნდა უხელმძღვანელოს

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ შესამჩნევად დააჩქარა ადამიანის როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური განვითარება. მაგალითად, უკანასკნელი 50 წლის მანძილზე გოგონები საშუალოდ 5, ხოლო ვაჟები 15 სანტიმეტრით ამაღლდნენ.

ასეთი სწრაფი ტემპი ბავშვებისაგან მეტ მოძრაობას მოითხოვს. ცნობილია, რომ მოძრავი, ფიზიკურად აქტიური მოზარდები უკეთ ვითარდებიან. ამიტომ, ბავშვის ორგანიზმის ფიზიკური სრულყოფა ბევრადაა დამოკიდებული სწორ ფიზიკურ აღზრდაზე. ამას გარდა, ფიზკულტურა და სპორტი დიდ გავლენას ახდენს მოზარდთა გონებრივ განვითარებაზე, პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მიუღებლად მიაჩნდათ ბავშვების ადრეული სპორტული სპეციალიზაცია; მაგრამ ახლა დამტკიცებულია, რომ იგი უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს ზოზარდის ორგანიზმზე, მის განვითარებაზე, რასაკვირველია, თუ წვრთნა სწორი მეთოდიკით და სამედიცინო კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს.

8-10 წლის ბავშვის ფიზიკური სრულყოფა შესამჩნევად იზრდება. ეს ის დროა, როცა პატარები მეცადინეობენ სპორტულ თამაშებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი); 12-13 წლიდან კი იწყებენ ვარჯიშს ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში და სხვა სახეობებში.

როგორც ცნობილია, ფიზიკური ვარჯიშები სამ ჯგუფად იყოფა. ეს არის ვარჯიშები **სისწრაფის, ძალისა** და **გამძლეობის** გამოსამუშავებლად. სწორედ ამიტომაა, რომ სპორტსმენები სწრაფად აზროვნებენ, აქვთ მოძრაობის კარგი კოორდინაცია, ძალა და ამტანობა. ყოველივე ეს დადებით ზეგავლენას ახდენს მათ შრომისუნარიანობაზე.

ამ თვისებების განვითარებას ადრეულ ბავშვობაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი. შშობლებმა უნდა შეაყვარონ ბავშვებს ფიზკულტურა და სპორტი, აუხსნან მისი მნიშვნელობა; ამაკე დროს ისინი არ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მეთვალყურის როლით, არამედ თვითონაც ჩაებან სპორტულ ცხოვრებაში. სპორტული ოჯახი კი ძლიერი და ჯანმრთელი ოჯახია.

პედაგოგებმა — საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, შშობლებმა —ოჯახებში, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ფიზკულტურა და სპორტი მოზარდის განუყოფელი ნაწილი გახდეს. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და პედაგოგი ჟან-ჟაკ რუსო თავის ნაშრომში (ტრაქტატში) „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ წერდა: — ეცადეთ განავითაროთ აღსაზრდელის გონება, ფიზიკურად ავარჯიშეთ მისი სხეული, რომელსაც გონებამ უნდა უხელმძღვანელოს, ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რომ აღსაზრდელი იყოს გონებით ბრძენი და ფიზიკურად სრულყოფილი.

ბ. თათეიშვილი.

● ქართული ჭიდაობა

ნუ ვიქნებით პასიურნი

ამ დღეებში საგარეჯოში გაიმართა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1964-65 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. საასპარეზოდ გამოვიდა „კოლმეურნის“, „სპარტაკისა“ და თბილისის განათლების სამმართველოს 50-მდე მოჭიდავე. კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით თავი გამოიჩინეს ჯ. პაპინაშვილმა, ნ. ხოსიტაშვილმა, ვ. აზნაურაშვილმა, ი. ჯანჯალაშვილმა. მოჭიდავეთა უმრავლესობა სუსტად იყო მომზადებული, ვერ ერკვეოდა ჭიდაობის წესებში.

ამ ასაკობრივ ჯგუფში რესპუბლიკური პირველობა პირველად ჩატარდა და ვვარაუდობდით, რომ ყველა სპორტსაზოგადოება გამოიყენებდა მოჭიდავეებს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საინტერესოა, რატომ არ გამოაგზავნეს გუნდები „დინამომ“, „შრომითმა რეზერვებმა“, „განთიადმა“, „ლოკომოტივმა“, „ბურევესტნიკმა“. არადა, სპორტსაზოგადოებები ვალდებულნი არიან იზრუნონ სპორტის ეროვნული სახეობების, მათ შორის ქართული ჭიდაობის განვითარებისთვის. ახლა ამ საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და არავის არა აქვს უფლება პასიურობა გამოიჩინოს.

წონითი კატეგორიებს მიხედვით გაიმარჯვეს ჯ. პაპინაშვილმა, ნ. ბეგლარაშვილმა (ორივე — „კოლმეურნე“), მ. გულისაშვილმა („სპარტაკი“), ნ. ხოსიტაშვილმა, ვ. აზნაურაშვილმა, ი. ჯანჯალაშვილმა, გ. ბიჭიკაშვილმა, გ. ბადუაშვილმა (ყველა —„კოლმეურნე“).

შ. ზუკაკიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი.

● ჰორიზონტზეა

ლეიკ-პლე-სიდი ●

XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

ლიდერი შეიცვალა

როგორც იყო საფრანგეთის სამთო მოთხილამურეებმა მიაღწიეს წარმატებას — მსოფლიოს თასების გათამაშების მომდევნო ეტაპი მოიგეს. ბერჰტესგადენის (გფრ) მიდამოებში ქალთა შორის სპეციალურ სლალომში იმარჯვა 19 წლის გრენობლელმა პ. პელენმა — 1.38,51. მომდევნო ადგილები ერგოთ იტალიელებს — კ. ჯორდანისა (1.39,61) და ჯ. ციინის (1.39,66).

მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელი, ავსტრიელი ა. მოზერ-პრიოლი V ადგილს დასჯერდა — 1.39,75.

აქვე ჩატარდა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ამჯერად ბადალბ არ ჰყავდა ფ. ვენცელს (ლიხტენშტეინი) — 2.11,72, პელენმა (2.12,64) და ჯორდანიმ (2,13,32) II და III ადგილები დაიკავეს.

ტურნირის სათავეში მოექცა ვენცელი. მას 172 ქულა აქვს. ანლა იგი პრიორიტეტ — [illegible] წრებს. III ადგილზეა მ. ნადიგი (შვეიცარია) — 150 ქულა. იგი ბოლო სტარტზე არ გამოსულა.

სკანდინავიელები უტევენ

მოთხილამურეთა ყოველი შეჯიბრება, რა რანგისაც უნდა იყოს იგი, ახლა მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის ძალების შემოწმებასაც ისახავს მიზნად. ამიტომაა, რომ მსოფლიო თასების გათამაშებაში თითქმის ყველა ქვეყნის თხილამურებით მორბენალი ჩაება და მათ უკვე სამდიდ შეჯიბრებაში იასპარეზეს, რის შემდეგ ფინელი ხ. კირვესნიემი დაწინაურდა.

ბოლო ორი ტურნირი იტალიის სამთო კურორტებზე გაიმართა. ბრიუსონში 15 კილომეტრზე სამივე საპრიზო ადგილი ფინელ სპორტსმენებს ერგოთ. ამ ქვეყნის მოთხილამურენი უძლიერესნი იყვნენ 4X10 კილომეტრზე ესტაფეტაშიც. ჰარკომენმა, ლეინონენმა, აუტიომ და კირვესნიემმა ფინიშამდე მისვლას 2 საათი, 5 წუთი და 39,5 წამი მოანდომეს. იტალიელები ეათ წუთზე ნაკლებით ჩამორჩნენ, ნორვეგიელები მესამე ადგილზე გავიდნენ. თასის მაძიებლებმა ბრიუსონიდან კასტელროტში გადაინაცვლეს. აქ როლები შეიცვალა: ყველა გარბენი ნორვეგიელთა უპირატესობით ჩატარდა. 30 კილომეტრზე ლ.-ე. ერიქსენმა (1:26.55,87); უ. აულნიმ (1:26.56,77) და ი. ლინდვალმა (1:27.25,56) იმარჯვეს.

4X10 კილომეტრზე ესტაფეტაში ნორვეგიელთა გუნდში არ გამოდიოდნენ ერიქსენი, აულნი და ლინდვალი, მაგრამ ჩ.-ი. სოლიმ, ა. ბაკენმა, პ.-კ. ოლანდმა და ტ. გულენმა მაინც ყველას დამარცხება შეძლეს —1:44.59,48.

მეორე ადგილი დაიკავა შვეიცარიის I ნაკრებმა — 1:45.34,48. ფინელები ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდნენ — 1:47.33,59. როგორც შემდეგ გაირკვა, შვეიცარიელთა ეს წარმატება სულაც არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან ამ ქვეყნის II კოლექტივი V ადგილზე გავიდა. მაშასადამე, შვეიცარიელები გულმოდგინედ ემზადებიან ლეიკ-პლესიდის ოლიმპიური თამაშებისთვის.

მსოფლიოს ჩემპიონები ოლიმპიადისთვის ემზადებიან

6 წელია ერთად გამოდიან ნატალია ლინიჩუკი და გენადი კარპონოსოვი. ამ ხნის განმავლობაში მათ ფიგურულ ციგურაობაში ოლიმპიურის გარდა ყველა სპორტულ მწვერვალს მიაღწიეს. ახლა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ოქროს მედლებისთვის საბრძოლველად ემზადებიან.

საკდესის ფოტო.



ოლიმპიური მედალი... ძროხას

ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. ძროხას, რომელსაც ჰქვია ელზი, მიენიჭა... ლეიკ-პლესიდის მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი.

„ბორდენ კომპანიმ“, რომლის თვისებურ სიმბოლოდ ითვლება ელზი, აშშ-ის ოლიმპიური გუნდის ფონდში შეიტანა მილიონი დოლარი და მიიღო უფლება მიაწოდოს რძე და რძის სხვა პროდუქტი ოლიმპიური სოფლის მცხოვრებლებს თამაშების პერიოდში.

...ელზი ელეგანტურად გამოვიდა პერსონალური ავტომობილიდან. ლეიკ-პლესიდის მერმა რ. პიკოკმა მას „გადასცა“ ოლიმპიური სოფლის სიმბოლური გასაღები, ხოლო ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ჯ. ბერნარდმა მას კისერზე ჩამოჰკიდა მედალი წარწერით: „აშშ-ის ოლიმპიური გუნდის მხარდაჭერისა და დახმარებისთვის“. და ორხიდეიასაგან დაწნული გირლიანდი, რომელსაც ელზიმ იქვე სიამოვნებით დაუწყო ღეჭვა. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ იახიმოვის მიდამოებში გამართულ ბიატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გამარჯვებისთვის იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ოსტატები. 20 კილომეტრზე ასპარეზობაში საუკეთესო შედეგი ჩატარდა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ამჯერად ბადალბ არ ჰყავდა ფ. ვენცელს (ლიხტენშტეინი) — 2.11,72, პელენმა (2.12,64) და ჯორდანიმ

ვაჟებიც, იუნიორებიც...

მივე საპრიზო ადგილი .საბჭოთა მოთხილამურეებმა ვ. ბარნაშოვმა, ს. დანჩმა (ორივე — ნოვოსიბირსკი) და ა. უშაკოვმა (ლენინგრადი) დაიკავეს.

საბჭოთა ოსტატების იუნიორთა ჯგუფი ზაკოპანეში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ჩაება. აქ 15 კილომეტრზე ასპარეზობაში პირველობა მოიგო ლენინგრადელმა ნ. ილინიხმა. მურმანსკელი პ. მილორადოვი და იჟევსკელი ვ. ბელოუსოვი მომდევნო ადგილებზე არიან

ეს სასარგებლო ტურნირია

ვიტყობინებოდით, რომ ბათუმში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა V ტრადიციული საკავშირო ღია ტურნირი „მეგობრობა“, რომელსაც 1975 წლიდან სისტემატიურად აწყობს საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტი და „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭო.

წლევანდელ ასპარეზობაში 1962-64 წლებში დაბადებული მოზარდებთან დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. ისინი თავდაპირველად 3 ქვეჯგუფად დაიყვნენ. ქვეჯგუფებში 2-2 უძლიერესი იღებდა ფინალში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლებას.

I ქვეჯგუფიდან ეს უფლება მოიპოვეს ფოთის „ვოდნიკისა“ და თბილისის არმიის სპორტული კლუბის, II ქვეჯგუფიდან — თბილისის „შრომითი რეზერვების“, სპორტინტერნატისა და ბათუმის ნორჩი დინამოელის, III ჯგუფიდან — თბილისის ნორჩი დინამოელისა და „ავაზას“ გუნდებმა.

მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში 3 გუნდის მონაწილეობა განაპირობა იმან, რომ სამივე კოლექტივმა ქვეჯგუფში ქულათა თანაბარი რაოდენობა (5-5) მოაგროვა. გამონაკლისიც ამის შედეგი იყო.

წვიმით დამძიმებული გრუნტის მიუხედავად, ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამომაჟღავნეს. მოზარდები ხალისიანად, მონდომებით იბრძოდნენ.

საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ფოთის გუნდი (4 მოგება, 2 ფრე), II. ბათუმის კოლექტივი (3 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება), III. თბილისის „შრომითი რეზერვები“ (3, 1, 2 შესაბამისად).

ასპარეზობის ორგანიზატორებმა ტურნირის დამთავრებისთანავე ჟიურის მიერ საუკეთესო ფეხბურთელებად მიჩნეულ მოზარდებს ფასიანი საჩუქრები გადასცეს. ჯილდოები მიიღეს: ლევან ქორიძემ (ბათუმი), გოჩა ჩიქვილაძემ (თბილისი, ნორჩი დინამოელი), ზურაბ ჭიაბრიშვილმა (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), ნოე ცენტერაძემ (ფოთი), სამველ გალსტიანმა (ერევანი), დავით გენძეხაძემ (თბილისი, სპორტინტერნატი), გოჩა ფეიქრიშვილმა (თბილისი, „ავაზა“), თამაზ ცისკარიშვილმა (თბილისი, ასკ), იგორ გორდეევმა (მოსკოვი, „სმენა“) და ზურაბ ხიზანიშვილმა (თბილისი, „შრომითი რეზერვები“). ზურაბ ხიზანიშვილს გადაეცა, აგრეთვე, ბომბარდირისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი (მან ფინალურ ტურნირში 6 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში).

ჟიურიმ ტურნირში მონაწილე საქართველოს გუნდებიდან შეადგინა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: მეკარე — მ. ბერია (თბილისი, ნორჩი დინამოელი), მცველები — ლ. ქორიძე, გ. ჩიქვილაძე, თ. მურჯიკნელი (სპორტინტერნატი), გ. გელაშვილი (თბილისი, „ავაზა“), ნახევარმცველები — ზ. ხიზანიშვილი, გ. თევზაძე (სპორტინტერნატი), ე. დახელია („ავაზა“), თავდამსხმელები — დ. გენძეხაძე, ზ. ჭიაბრიშვილი და გ. ფეიქრიშვილი.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მსგავსი ტურნირების ჩატარება სასარგებლო ღონისძიებაა ჭაბუკ ფეხბურთელთა ზრდისა და დაოსტატებისთვის. მართლაც, შესაძლოა გარკვეული დროის შემდეგ ზემოთ დასახელებულთაგან რომელიმე ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში ვიხილოთ.

ტურნირმა ნაკლიც გამოავლინა. იმის გამო, რომ გუნდებში ალმზრდელობითი მუშაობა ჩამორჩება, ადგილი ჰქონდა თამაშის წესების უხეშ დარღვევებს, რისთვისაც არბიტრები იძულებულნი იყვნენ სასჯელის უმაღლესი ზომისთვის მიემართათ.

გ. ანთაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

„ბაიერნი“ სჯობს „ჰამბურგს“

მცირე შესვენების შემდეგ, 19 იანვარს განახლდება ბუნდესლიგის ჩემპიონატი, რომელიც ბევრი უცხოელი ვარსკვლავის მონაწილეობის გამო, დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. საკითხი ასე დგას — ჩემპიონობა უნდა დარჩეს „ბაიერნს“ ან „ჰამბურგერ შპორტფერაინს“.

პირველობაში პაუზის გამო სამშობლოში დასასვენებლად ჩავიდა ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი, „ჰამბურგერ შორტფერაინის“ მწვრთნელი ბრანკო ზებეცი. მან ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ კორესპონდენტ მაგდიჩს. აი ზოგიერთი ნაწყვეტი ამ ინტერვიუდან.

● როგორ თამაშობს პატარა „მიკი-მაუსი“ — კიგანი?

— შესანიშნავი ოსტატია. ის კია, რომ გულშემატკივრები და მიმომხილველები მისგან ყოველ მატჩში სასწაულს მოელიან. ამიტომაც „ომობს“ იგი გფრ-ის ჟურნალისტებთან.

● კიდევ ერთი ინგლისელი, სახელდობრ ვუდკოკი, გამოჩნდა „კიოლნში“.

— ესეც შესანიშნავი ოსტატია. მისგან მე დიდ შედეგიანობას მოველი.

● ვინ უპირისპირდება გფრ-ში ამ ინგლისელებს?

— ამ ქვეყანაშიც ჰყავთ თავიანთი საყვარელი ფეხბურთელი ჰანს მიულერი. იგი უნდა დაუპირისპირდეს ამ ინგლისელებს. ჰანს მიულერი კლუბში შესანიშნავად თამაშობს, ნაკრებში კი — უფერულად.

● ბულიანი?

— იგი ჩემს კლუბში თვალსაჩინო ფიგურა გახდა. ადრე სტოპერი იყო — წმინდა დაცვით ფუნქციებს ასრულებდა, ახლა დირიჟორის მონაცემებიც გვაჩვენა. იგი გამთამაშებელია და გოლებიც გააქვს.

● რა დამოკიდებულება აქვს „ჰამბურგერ შორტფერაინთან“ ნაკრების ხელმძღვანელ დიორვალს?

— იგი კლუბების მწვრთნელების საქმეებში არ ერევა.

ბუნდესლიგის საქმეებზე ილაპარაკა, აგრეთვე, იუგოსლავიის ნაკრების მცველმა ჯონიმ, რომელიც ახლა გელზენკირჰენის „შალკე 04“-ში თამაშობს. მან განაცხადა, რომ ბუნდესლიგაში ბევრი მაღალი კლასის გუნდია, რასაც მათი საერთაშორისო წარმატებებიც ნათელყოფს. მისი აზრით, გფრ-ის ჩემპიონი უნდა გახდეს მიუნხენის „ბაიერნი“, რომელიც ახლა, ეტყობა, სჯობს „ჰამბურგერ შპორტფერაინს“.

გ. თორელი.

ბელგრადის „სპორტის“ ანკეტა

ბელგრადის „სპორტის“ რედაქციამ მოაწყო ევროპის ცნობილი ფეხბურთის მიმომხილველების ტრადიციული გამოკითხვა. ამ ანკეტის შედეგები კონტინენტის უძლიერეს ნაკრებად მიჩნეულ იქნა გფრ-ის გუნდი. მომდევნო ადგილები დაეთმოთ იუგოსლავიის, ინგლისის, ჰოლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს.

აი, როგორ გამოიყურება კონტინენტის ნაკრები: პანტელიჩი (იუგოსლავია), კალტეი (გფრ), კროლი (ჰოლანდია), პეცეი (ავსტრია), კაბრინი (იტალია), ბრაიტნერი (გფრ), პლატინი (საფრანგეთი), ვუდკოკი (ინგლისი), კიგანი (ინგლისი), სუშიჩი (იუგოსლავია), რუმენიგე (გფრ).

ოლიმპიადას ნახავს ყველა

აზია-წყნარი ოკეანის რადიომაუწყებლობის კავშირის წარმომადგენლებსა და „ოლიმპიადა-80-ის“ საორგანიზაციო კომიტეტს შორის 11 იანვარს ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ტელეტრანსლაციისა და რეპორტაჟების უფლების შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად 16 ქვეყნის (ისფერ ეკრანებზე ნაჩვენები იქნება შეჯიბრებები, რომლებშიც იასპარეზებენ მსოფლიოს წამყვანი ათლეტები. რადიორეპორტაჟები გადაიცემა 28 ქვეყანაში. საქმე ისაა, რომ წყნარი ოკეანის აუზის მთელ რიგ სახელმწიფოს არა აქვს ტელეგადაცემის ორგანიზების შესაძლებლობა.

დასასრულს უახლოვდება XXII ოლიმპიური თამაშების ტელეტრანსლაციის ორგანიზაციის პროგრამა. უახლოეს დროში საორგანიზაციო კომიტეტი მოლაპარაკებას გამართავს აფრიკის კონტინენტის წარმომადგენლებთან.

— ეჭვი არ გვეპარება, რომ მოსკოვის თამაშები ჩატარდება მაღალ სპორტულ დონეზე და მეგობრულ ვითარებაში, — თქვა აბუს წარმომადგენელმა ე. ლოისმა, — ეს ხელშეკრულება აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების სპორტის მოყვარულებს შესაძლებლობას მისცემს „დაესწრონ“ ამ გრანდიოზულ სპორტულ ზეიმს, თვალნათლივ დარწმუნდნენ თუ რა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს მოსკოველებმა. (საკდესი).

რეკორდსმენი სამშობლოში ბრუნდება

ოთხ სტაიერულ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდების მფლობელი, ცნობილი კენიელი მძლეოსანი ჰენრი რონო სამშობლოში დაბრუნდა, რათა დაიწყოს მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება.

ამ ცნობასთან ერთად, გაზეთი „დეილი ნეიშნლი“ მიუთითებს, რომ რონომ, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლობს, განაცხადა, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე იგი არ დაბრუნდება აშშ-ში.

სპორტსმენმა, რომელსაც მთავარ მიზნად მიაჩნია მოსკოვის ოლიმპიადაზე წარმატებით ასპარეზობა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს თამაშებისთვის მოსამზადებლად. ამჟამად ჰენრი რონო ისვენებს შინ. მომავალ კვირას გაემგზავრება ნიახურურში მაღალმთიან სავარჯიშო ბანაკში.

ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად რონოს გარდა, აშშ-იდან კენიაში დაბრუნდნენ მორბენლები ჯ. ჩეროუტი და ს. ჩეპკვონი. (საკდესი).

ემზადებიან მოსკოვის სტარტებისათვის

ადის-აბება. ეთიოპიის სპორტსმენები აქტიურად ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის და იმედოვნებენ მაღალი შედეგების მიღწევას, — განაცხადა ეთიოპიის სპორტისა და ფიზიკურ-ტურის საქმის კომისარმა ი. ტესემამ.

მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის შერჩეულ მძლეოსანთა, მოკრივეთა და ველოსიპედისტთა ეროვნული გუნდების წინაშე გამოსულმა ტესემამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისეთმა სპორტსმენებმა, როგორებიც არიან აბებე ბიკილა, ბაბო ვოლდე და მირუს იფტერი, ბრწყინვალე სტრიქონები ჩაწერეს სპორტის ისტორიაში. მან მაღალი შეფასება მისცა ეთიოპიის რევოლუციური მთავრობის მონდომებას ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის.

● კალათბურთი

სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი

რიგის ტურის ბოლო შეხვედრა თბილისის „დინამომ“ ტალინის „კალევთან“ გამართა და დამარცხდა — 75:87 (36:36).

დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: ცსკა — „სტროიტელი“ (კიევი) 99:77 (45:40), „დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 119:101 (59:45), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — რტი (მინსკი) 84:82 (47:30), ასკ (კიევი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 80:79 (53:43), „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) — ვეფ-ი (რიგა) 98:137 (49:69).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა რიგის ტურის შემდეგ

	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	11	0	1146—845	22
„დინამო“ მ.	8	3	1172—1060	19
ასკ კიევი	8	3	1086—1035	19
„ჟალგირისი“	7	4	986—969	18
„სპარტაკი“	6	5	930—896	17
„დინ.“ თბ.	6	5	937—982	17
„სტატიბა“	5	6	998—1009	16
ვეფ-ი	4	7	1058—1061	15
„კალევი“	3	8	888—943	14
„სტროიტელი“	3	8	945—1019	14
რტი	2	9	938—972	13
„ლოკომოტივი“	2	9	932—1184	13

მოლოდინი...

პროფესიული პრიმის რინგზე

ნიუ-იორკი. 11 იანვარი. 20 წლის ტონი თომასი გარდაიცვალა ისე, რომ გონს არ მოსულა. ეს მოხდა კაროლინის შტატის ქალაქ სპარტანსბურგში პროფესიულ რინგზე შეხვედრის 10 დღის შემდეგ. ორთაბრძოლის დროს მან ძლიერი დარტყმა მიიღო თავში და გონება დაკარგა. თომასი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ამან მას ვერ უშველა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, თომასმა ორთაბრძოლის წინ სამედიცინო შემოწმება არ გაიარა, თუმცა მისი მენეჯერი, საქმოსანი დონ უაიტი ირწმუნება, რომ იმ საღამოს გამოსულმა ყველა მოკრივემ შემოწმება გაიარა. სპორტსმენები კი, რომლებიც თომასთან ერთად გასახდელში იყვნენ, უაიტის ამ რწმუნებას უარყოფენ. ახლა უაიტი ამბობს, რომ პროფესიული მოკრივისათვის აუცილებელი არ არის ბრძოლის წინ სამედიცინო შემოწმება.

შარშან წლის ბოლოს რინგზე დაშავების შედეგად დაიღუპა ეილი კლასენი. თუმცა ოფიციალური გამოკვლევა მისი სიკვდილის მიზეზის შესახებ დამთავრებული არ არის, მაგრამ ადგილობრივი სპორტული მიმომხილველები ამბობენ, რომ საბედისწერო შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე კლასენმა ნოკაუტით წააგო ბრძოლა სხვა შეჯიბრებაში. მიუხედავად ამისა, იგი აიძულეს კვლავ გამოსულიყო რინგზე.

პროგრესული ამერიკული პრესა იუწყება, რომ პროფესიულ კრივი კაპიტალისტური საზოგადოების მახინჯი მხარეების გამოვლინებაა. სპორტსმენებს შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი ერგებათ ხოლმე, სპორტული საწარმოების ინიციატორები კი ჯიბეს ისქელებენ.

(საკდესი)

«სპორტლოტო»

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მეორე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6-49“-დან:

პირველი: 1 (საავიაციო სპორტი), 11 (ველოსპორტი), 16 (ტანვარჯიში), 22 (ციგურები), 41 (ჩოგბურთი), 47 (ბურთიანი ჰოკეი). შეღავათიანი ბურთულა — 39 (სამბო).

მეორე: 3 (აკრობატიკა), 14 (ფრენბურთი), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა); 32 (წყალში ხტომა), 34 (ხელბურთი), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 11 (ველოსპორტი).

„სპორტლოტო 5-36“-დან:

პირველი: 6 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ტანვარჯიში), 22 (კურვა), 28 (მშვილდოსნობა), 31 (ძალოსნობა).

მეორე: 11 (ტანვარჯიში), 15 (ძიუდო), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 26 (სამბო), 33 (ფიგურული ციგურაობა).

შექტერი — ახალი მსოფლიო ჩემპიონი

წლეულს პროფესიონალ ავტომრბოლელთა მსოფლიო ჩემპიონატი I ფორმულის ავტომანქანებით 29 წლის ჯოდო შექტერმა მოიგო. იგი ამ დიდ და მეტად სახიფათო რბოლებში 1974 წლიდან მონაწილეობს. „გრან-პრის“ სტარტზე 97 გამოსვლიდან შექტერი 51-ჯერ პირველ ექვსეულში მოხვდა, 10-ჯერ პირველი მიიჭრა ფინიშთან, 14-ჯერ — მეორე, 9-ჯერ — მესამე იყო. ასე ხელნელა უახლოვდებოდა შექტერი სანუკვარ მიზანს. ამ მაჩვენებლით „ეგოისტს“, როგორც მას ზოგიერთი სპეციალისტი უწოდებს, თვით მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჯეკი სტიუარტიც კი ვერ შეედრება. შექტერმა თავისი კარიერა „ტირელის“ ფირმის მანქანით დაიწყო. პირველობა კი „ფერარის“ მანქანამ მოუტანა.

მსოფლიო ჩემპიონობა შექტერმა მეცამეტე რბოლაში, იტალიის „დიდი პრიზის“, კერძოდ მონაცას ცნობილ და ერთ-ეროთ ყველაზე სახიფათო ტრასის მოგებით მოიპოვა. ამ რბოლაში მან დაამარცხა ისეთი აღიარებული ვარსკვლავები, როგორებიც არიან ფრანგი ლაფიტი, კანადელი ვილანევი, შვეიცარიელი რეგაცონი, ავსტრალიელი ჯონსი, ბრაზილიელი პიკეტი. ამ გამარჯვებით შექტერმა 51 ქულა მოაგროვა და დარჩენილი ორი რბოლის მიუხედავად მიუწვდომელი გახდა დანარჩენებისთვის.

წლის დასაწყისში, როდესაც მონტეკარლოელმა „ფერარის“ მანქანით დაიწყო გამოსვლა, ასეთი განცხადება გააკეთა: „12 თვეში ან „ფერარის“ პოლიტიკა ან ალკოჰოლი მომიღებს ბოლოს, ანდა მსოფლიო ჩემპიონი გავხდები“.

მანცას „დიდი პრიზის“ გათამაშება ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო: სტარტიდანვე შექტერი დაწინაურდა. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ფრანგი არნუ, ვილანევი და ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი ლაფიტი. ეს უკანასკნელი ამ რბოლაში ტოვმორბული გამოდიოდა.

14 წრის შემდეგ (სულ გასავლელი იყო 50 წრე — 290 კმ) არნუ („რენო“) მანქანის დაზიანების გამო გამოეთიშა რბოლას; ავსტრალიელ ჯონსს („უილიამსი“) ბენზინის ავზში აღმოაჩნდა უწესივრობა, ხოლო ბრაზილიელი პიკეტის „ბრაბამი“ მოსახვევში 220 კმ სიჩქარით შესვლისას ორ ნაწილად გაიყო. მრბოლელი სასწაულით გადარჩა.

მას შემდეგ, რაც რბოლას გამოეთიშნენ ზემოჩამოთვლილნი და ზოგიერთი სხვა, დარჩა ფავორიტთა სამეული. სწორედ მათ შორის გაიმართა უშეღავათო ბრძოლა პირველობისათვის — შექტერი, ვილანევი, თუ შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული ლაფიტი? ამ სამეულს კარგა მანძილით ჩამორჩა ფრანგი ჟაბუი, რომლის „რენო“ 36-ე წრეზე სერიოზულად დაზიანდა. — „რბოლის დროს მივხვდი, რომ ამ სამეულის ჭიდილში კორექტორას ვერ შევიტანდი“, განაცხადა რბოლის შემდეგ სპორტსმენმა.

ახალი მსოფლიო ჩემპიონი არ არის ისეთი ტექნიკის მქონე, როგორიც ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, ავსტრიელი ლაუდა, ანდა ბრაზილიელი ფიტიპალდი. კონკურენტები მას ფიზიკური აღნაგობის გამო, „ყასაბს“ უწოდებენ. მასზე ამბობენ, რომ მისთვის გარდა წარმატებისა არაფერი არ არსებობს. თავისი სპორტული კარიერის დასაწყისში იგი ჯერ ინგლისში ცხოვრობდა, შემდეგ ესპანეთსა და ჰოლანდიაში. დღეს შექტერი მონტე-კარლოს მკვიდრად ითვლება.

შექტერის დამოკიდებულება გარე სამყაროსთან ერთობ შაბლონურია — ჩემი ასეთი მიდგომა „კოლეგებისადმი“ „ფერარის“ სარბოლო მანქანამ განაპირობა. ამ მანქანის მეშვეობით მე დღეს პირველი მრბოლელი ვარ. დანარჩენი ჩემთვის სულერთია, მთავარია არავინ არ დამდგეს წინ. რაც შეეხება ჩემს კონტაქტს ჟურნალისტებთან, ერთს გეტყვით: თავიანთი ერთფეროვანი შეკითხვებით ისინი მომაბეზრებელნი არიან“.

დღესდღეობით ჯოდი შექტერი I ფორმულის ავტომანქანებში ახალი ტიპის მრბოლელს სიმბოლოა. იმ პროდუქტის შტო, სადაც ადამიანი მექანიზმს წარმოადგენს.

მ. რაზდიანი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

მძლეოსნობა. „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლე. **საქართველოს სპორტსკოლების ზამთრის პირველობა.** დასაწყისი: 13 იანვარს — 16 ს. 14 იანვარს— 11 ს.

მინი-ფეხბურთი. სპორტის სასახლე. **დღეს—მამათა და შვილთა გუნდების ხაჭალაჭო ტურნირის ფინალური შეხვედრა.** დასაწყისი 16 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები: რედაქტორი** — 99-56-14, 93-97-50; **რედაქტორის მოადგილე** — 99-56-47; **პასუხისმგებელი მდივანი** — 93-97-52; **განყოფილებები: ფეხბურთის** — 99-81-71, 93-97-56; **მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის** — 93-97-55; **სპორტის პროპაგანდის** — 93-97-51; **მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის** — 93-97-53; **ჟადრაკის** — 93-97-26; **ხამხატვრო** — 93-97-52; **წერილების** — 93-97-54; **კორექტორები** — 93-97-49; **გამომშვები** — 93-93-81; **ფოტოლაბორატორია** — 93-97-58; **მემანქანეები** — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იგეგზება ოფსეტური წესით საბაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02019